MIA 2 19 01798679

21/06/2019

შპს "გიგანი"-ს დირექტორს
ბატონ ზაზა კიკნაძეს
მის: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N8ა
ტელ: 598-44-22-12

ბატონო ზაზა,

როგორც მოგეხსენებათ, კონსოლიდირებული ტენდერის (განც. ნომერი:CON180000068) საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და შპს „გიგანი“-ს შორის, 2019 წლის 14 თებერვალს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N15/3-79 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თქვენმა ორგანიზაციამ აიღო ვალდებულება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის მიეწოდებინა 88,165.00 (ოთხმოცდარვაათას ას სამოცდახუთი) ლარის ღირებულების ბურღულეული (წიწიბურა, ბარდა, ლობიო, ბრინჯი, მანანის ბურღული), ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, ქ.თბილისში, ქიზიყის ქ. N1-ში, რომლის მოწოდებაც არ განხორციელებულა.
მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაერთგზის დარღვევის გამო, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართვის საფუძველზე, მიმდინარე წლის 18 ივნისს, შეიკრიბა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული, სხვადასხვა კვების პროდუქტის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია, რომლის N131 ოქმით დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან სისტემაში არსებულმა შემსყიდველმა ორგანიზიაციებმა, შპს „სახელმწიფო კვებითმა უზრუნველყოფამ“ და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, შეწყვიტონ CON180000068- ბურღულის, CON180000078- მარგარინის, ზეთის (მცენარეული), კარაქის მსგავსი პროდუქტის (სპრედი), CON180000090- ხორბლის ფქვილის და კარაქის მსგავსი პროდუქტის (სამარხო) და CON190000007- ნაღების კარაქის კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები.
შესაბამისად, ამავე დადგენილების მეორე პუნქტის გათვალისწინებით შეწყდა CON180000068 - ბურღულის, CON180000078- მარგარინის, ზეთის (მცენარეული), კარაქის მსგავსი პროდუქტის (სპრედი), CON180000090- ხორბლის ფქვილის და კარაქის მსგავსი პროდუქტის (სამარხო) და CON190000007- ნაღების კარაქის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და შპს

„გიგანი“-ს შორის გაფორმებული N15/3-79 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.11 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების საფუძველზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და ამავე მუხლის შესაბამისად სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-სგან გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად.
ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული შესაბამისი ჯარიმების შესახებ გეცნობებათ დამატებით, წერილობითი ფორმით.

გაცნობებთ, რომ „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს „გიგანი“-ს შავ სიაში რეგისტრაციის მიზნით შესაბამის ინფორმაციას სააგენტოს აცნობებს შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია.

პატივისცემით,

ირაკლი სანაია
სსდ-საქ.სასაზღვრო პოლიციის
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი